



საია სამართალდამცავ ორგანოებს ისნის რაიონის გამგებლის მოადგილის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ზენოლის ფაქტის გამოძიებისაკენ მოუწოდებს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას სამართლებრივი დახმარებისათვის მომართა ქალაქ თბილისის ისნის რაიონის გამგებლის მოადგილემ, ბესიკ დონაძემ და განაცხადა, რომ სამსახურის დატოვების მოთხოვნით მასზე ზენოლა ხორციელდება. ბესიკ დონაძემ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამართალდამცავ ორგანოებს უკვე მიმართა და მტკიცებულებები წარუდგინა.

ბესიკ დონაძის განცხადებით, 2014 წლის აგვისტოს თვიდან მასზე სისტემატური ზენოლა ხორციელდება, რათა მან თანამდებობა „ნებაყოფლობით“ დატოვოს. ბ.დონაძე ზენოლის მიზეზად მის პოლიტიკურ შეხედულებებს ასახელებს. მისი განცხადებით, ისნის გამგებელი არ ასწრებს სამსახურეობრივ თათბირებს და ცდილობს მის საქმიდან ჩამოშორებას, არ უშვებს კუთვნილ შვებულებაში, ადგილი აქვს მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების მუქარას. როგორც ბესიკ დონაძე აცხადებს, პირადი ინიციატივით სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაანერინეს ისნის რაიონის გამგეობაში დასაქმებულ 40 - მდე ადამიანს, განცხადებებზე არ არის მითითებული მათი დაწერის თარიღები, რაც ზემდგომი თანამდებობის პირებს ნებისმიერ დროს ამ განცხადებათა გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. ბ.დონაძის განცხადებით, დღემდე გაურკვეველია აღნიშნული განცხადებების დამწერი ადამიანების ბედი.

როგორც ბ.დონაძე მიუთითებს, მასზე ზენოლა ხორციელდებოდა ისნის გამგებლის, ვახტანგ ქიზიყურაშვილის, გამგეობის აპარატის უფროსის - ნოდარ გოგოხიას, ასევე გამგეობის სხვა თანამდებობის პირების - ჯუმბერ ახვლედიანისა და გელა კვირიკაძის მიერ. გამგებლის მოადგილე განმარტავს, რომ მის მიმართ ბოლო ზენოლის ფაქტს

